ოქმი:**ო08. 3723122001**

თარიღი:**02/05/2023**

ოქმი № 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 2 მაისი

ქ.ოზურგეთი

12.30 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. შილაკაძე, გ. კილაძე, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ.ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დ.ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

მომხსენებელმა, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“, განაცხადა, რომ საქართველოს საპატრიარქო ითხოვს მერიის ადმინისტრაციული შენობის ფასადიდან მოხსნილი მეორადი ეკლარის ქვის ფილების უსასყიდლოდ გადაცემას ეკლესიის მოპირკეთებისთვის, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

თანამომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე N 1 განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N 2 განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი